



შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ მიერ შემუშავებული პროფესიული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას, შინაარსს, მისი შემუშავების და დამტკიცების პროცედურებს;
- 1.2. ეს დოკუმენტი შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის და განათლების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებზე.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის ხელმძღვანელი

- 2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შედგენა ხორციელდება პროფესიული კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და დარგობრივი პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2.2. პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება პროფესიული პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ დირექტორის ბრძანებით.
- 2.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის განხილვა ხდება საბჭოს სხდომაზე და ამტკიცებს დირექტორი.
- 2.4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია;
- 2.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- 2.6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება

კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს;

2.7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა იზომება პროფესიულ კრედიტებში, ხანგრძლივობა იზომება დროის ერთეულით (კვირა ან/და თვე).

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

3.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
 2. პროფესიული განათლების საფეხური;
 3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
 4. პროგრამის მოცულობა;
 5. პროგრამის ხანგრძლივობა;
 6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
 7. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;
 8. პროგრამის სწავლის შედეგები;
 9. სწავლის შედეგების რუქა;
 10. სასწავლო გეგმა;
 11. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა;
 12. სწავლების მეთოდები;
 13. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება;
 14. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ;
 15. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ;
 16. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
 17. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ;
- 3.2. პროგრამას თან ერთვის სასწავლო კურსების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსები.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპები

- 4.1. პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის შედგენას;
- 4.2. პროგრამის შემუშავება, განხილვა, შეთანხმება, განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით.
- 4.3. პროგრამისა და სილაბუსების განხილვა ხდება ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს სხდომაზე, ანგარიშს წარადგენს პროგრამის ხელმძღვანელი.
- 4.4. ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე პროფესიული პროგრამების მენეჯერი პროგრამასა და სილაბუსებს დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს.
- 4.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას და თანდართულ სილაბუსებს

ამტკიცებს დირექტორი და გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

მუხლი 5. სილაბუსი

5.1. სასწავლო კურსის სილაბუსი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს და მისი დამტკიცება ხდება პროგრამასთან ერთად.

5.2. სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავება ხდება პროფესიული მასწავლებლის მიერ.

5.3. სილაბუსის სტრუქტურას შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის განხილვა ხდება საბჭოს სხდომაზე და ამტკიცებს დირექტორი.

5.4. კურსის ხელმძღვანელის ცვლილებისას ან კურსის განმეორებისას შესაძლებელია პროფესიული მასწავლებლის მიერ შემუშავებულ იქნას ახალი სილაბუსი. ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია ცვლილებების შეტანა სილაბუსის შემდეგ კომპონენტებში: კურსის დასახელება, კრედიტების რაოდენობა, სწავლის შედეგები.

მუხლი 6. სილაბუსის სტრუქტურა

6.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და საფეხური:

6.2. სასწავლო კურსის სახელწოდება ;

6.3. მასწავლებლის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (თუ სასწავლო კურსს ახორციელებს ორი ან მეტი მასწავლებელი, მიეთითება თითოეულის მონაცემები);

6.4. კრედიტების რაოდენობა, ასტრონომიული საათების რაოდენობა და მათი განაწილება სასწავლო დატვირთვის შესაბამისად;

6.5. კურსზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში);

6.6. კურსის მიზნები (ორიენტირებულია პროფესიულ მასწავლებელზე, თუ რის მიღწევას აპირებს ამ კურსის გავლის შემდეგ);

6.7. სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ისახავს მიზნად ეს სასწავლო კურსი (ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტზე, თუ რა კომპეტენციებს განივითარებს სტუდენტი კურსის გავლის შემდეგ. ის უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით დადგენილ სწავლის შედეგებს);

6.8. სასწავლო კურსის შინაარსი, რომელშიც მოკლედაა განსახილველი თემები, აგრეთვე მითითებულია ამ თემისათვის დასათმობი საათების რაოდენობა.

6.9. ცოდნის შეფასება (იძლევა ინფორმაციას შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის გამოყოფილი ქულების რაოდენობის შესახებ).

6.10. სწავლების მეთოდები;

6.11. სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი. ის შეიძლება გაიყოს ძირითად და დამხმარე ლიტერატურად. ასევე შესაძლებელია მიეთითოს ინტერნეტ-წყაროებიც.

მუხლი 7. პროგრამასა და სილაბუსში ცვლილებების შეტანა

7.1. სილაბუსში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველზე;

7.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აგრეთვე გაუქმება, ხორციელდება დირექტორის ბრძანებით.